სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება №11

ყვარელი, სოფ. შილდა 19 .06 2023. წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ შილდას N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორი დარეჯან კანანაძე და მეორეს მხრივ, შპს"ვეტ-დეზ-.ნოვაცია+" ს/კ 405248851 მისი დირექტორის სანდრო ლაბაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სადერატიზაციო, სადეზინფექციო და სადეზინსექციო სამუშაოს შესყიდვა. (CPV:90900000) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდას N2 საჯარო სკოლა.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ

სრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის შილდას N2 საჯარო სკოლის დირექტორი დარეჯან კანანაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ შილდას საჯარო სკოლა დირექტორი: დკანანაძე _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** შპს „ვეტ-დეზ-ნოვაცია+" ტელ: 577713372 ს/კ 405248851 მის.: თბილისი აღმაშენებლის 174 საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი. საბანკო კოდი TBCBGE22 ანგ- GE31TB7464036080100004 vetdeznovacia@gmail.com დირექტორი: ს.ლაბაძე _____ (ხელმოწერა)

მიღება ჩაბარების აქტი

სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების შესახებ

ყვარელი სოფ.შილდა 19.06. 2023წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივსსიპყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდას N2 საჯარო სკოლის დირექტორი დარეჯან კანანაძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ვეტ-დეზ-ნოვაცია+"-ის დირექტორი სანდრო ლაბაძე ვადასტურებთ, რომ 2023წლის 19.06 ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელშილდას N2 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ჩატარებულ იქნა სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები 200 (ორასი) ლარის ღირებულებით, რაზედაც დაიხარჯა:

1 კგ კრისინაია სმერტი დერატიზაცია. 0.1 ლ ციპერმეტრინი დეზინსექცია 0.05 ლიზოფორმინი დეზინფექცია.

დეზინფექციისთვის გამოყენებული იქნა: ლიზოფორმინ სპეციალი

სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია 25%

ექსპოზიცია 240წთ

დამუშავების მეთოდი მორწყვა

დამუშავებული იქნა: კედლები, იატაკი, საკლასო ოთახიები, მაგიდები, სკამები , დერეფნები, სველი წერტილები და სხვა.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

შ.პ.ს „ვეტ-დეზ-ნოვაცია+"-ის

დირექტორი ს. ლაბაძე

სოფელ შილდას N2 საჯარო სკოლის

დირექტორი დ.კანანაძე